საქართველოს გენერალური პროკურორი
Prosecutor General of Georgia

№ 013/1 12 02 2021

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ არჩილ თალაკვაძეს

ბატონო არჩილ,

საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით საქართველოს პარლამენტის წევრის - ნიკანორ მელიას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გირაოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით - პატიმრობით შეცვლის შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვასთან დაკავშირებით, საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის წინასწარი თანხმობის გაცემის თაობაზე.

აღნიშნული წინადადებით პარლამენტს მოგმართავთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემდეგი სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე:

2019 წლის 25 ივნისს, საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის N009230619001 საქმეზე, ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობის და მასში მონაწილეობისათვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა საქართველოს პარლამენტის წევრი ნიკანორ მელია.

ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ნიკანორ მელიას მიმართ ინკრიმინირებული ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2019 წლის 20 ივნისს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის სასახლის წინ მიმდინარეობდა მიტინგი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის და სხვა ძალადი თანამდებობის პირების დაკავებული თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით. დაახლოებით 21:00 საათზე, ადგილზე შეკრებილ მოქალაქეებს მიუახლოვდა საქართველოს პარლამენტის წევრმა - ნიკანორ მელიამ და მოუწოდა საქართველოს პარლამენტის სასახლეში შეჭრისაკენ, იმ შემთხვევაში თუ მომდევნო ერთი საათის

0114 ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქ.№24 ტელ: (+995) 032 2 40 50 60 www.pog.gov.ge

24 Gorgasali str. 0114 Tbilisi, Georgia Telephone: (+995) 032 2 40 50 60 www.pog.gov.ge

განმავლობაში მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდებოდა. ვინაიდან, ნიკანორ მელიას მოთხოვნა არ შესრულდა, საქართველოს პარლამენტის სასახლეში შეჭრის მიზნით, მიტინგზე შეკრებილი მოქალაქეების ნაწილი, ნიკანორ მელიას ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით, თავს დაესხა საქართველოს პარლამენტის სასახლის წინ, შენობის დასაცავად განლაგებულ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს. განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების შედეგად, სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღეს როგორც სამართალდამცავებმა, ასევე პროტესტის მშვიდობიანად გამოხატვის მიზნით შეკრებილმა მოქალაქეებმა, დაზიანდა და განადგურდა სახელმწიფოს და კერძო პირთა კუთვნილი ქონება.

ნიკანორ მელიას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე, იმავე დღეს, 2019 წლის 25 ივნისს ეცნობა საქართველოს პარლამენტს. ამასთან, საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ მოთხოვნილი იქნა სასამართლოსათვის ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მიზნით, კანონმდებლობით გათვალისწინებული თანხმობის გაცემა.

2019 წლის 26 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო N4860-IIს დადგენილება, რომლითაც საქართველოს გენერალურ პროკურორს მიეცა თანხმობა საქართველოს პარლამენტის წევრის - ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გამოყენების მიზნით სასამართლოსათვის მიმართვაზე.

2019 წლის 27 ივნისს, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისა და წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრის შესახებ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 27 ივნისის განჩინებით, საქართველოს გენერალური პროკურორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ნიკანორ მელიას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის შესაბამის ანგარიშზე შეტანის ვადად დაუდგინდა 20 (ოცი) დღე. აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად მის მიმართ გამოყენებული იქნა დამატებითი ღონისძიებები.

იმავე დღეს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, პროკურორის მიერ ნიკანორ მელიას (მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის თანდასწრებით) განემარტა, რომ თუ ის დაარღვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პირობას ან კანონს, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით გირაო შეიცვლებოდა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ზემოხსენებული განჩინება გასაჩივრდა როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 2 ივლისის განჩინებით, ნიკანორ მელიას მიმართ დამატებით გამოყენებული იქნა ელექტრონული მონიტორინგი.

ნიკანორ მელიას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების - გირაოს თანხა, 2019 წლის 15 ივლისს (სასამართლოს განჩინებით განსაზღვრულ ვადაში), სრულად იქნა შეტანილი აღსრულების ეროვნული ბიუროს შესაბამის ანგარიშზე.

2019 წლის 3 ოქტომბერს, ნიკანორ მელიას ბრალდების სისხლის სამართლის საქმე არსებითი განხილვის მიზნით, წარიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში. ნიკანორ მელიას მიმართ ინკრიმინირებული ქმედება საქმის სასამართლოში წარმართვის ეტაპზე დადასტურებული იყო გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების ერთობლიობით, მათ შორის: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით და ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებებით, მოწმეთა გამოკითხვის ოქმებით, ვიდეოჩანაწერებით, ჰაბიტოსკოპიური, ვიდეო-ტექნიკური და ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნებით.

სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების მტკიცებულებების ავთენტურობის, უტყუარობისა და საკმარისობის შემოწმებას ახდენს სამი ინსტანციის სასამართლო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი თანმიმდევრობით. კერძოდ, ბრალდების მტკიცებულებითი სტანდარტის შემოწმება-განხილვა მხარეთა მონაწილეობით ხორციელდება ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის, საქმის წინასასამართლო და საქმის არსებითი განხილვის ეტაპებზე, რაც აისახება სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებებში. ნიკანორ მელიას ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების მტკიცებულებითი სტანდარტი შემოწმებული და განხილულია, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე და შემდგომ წინასასამართლო სხდომაზე და სასამართლოს გამოტანილი აქვს შესაბამისი გადაწყვეტილებები. დღევანდელი მდგომარეობით საქმე არის არსებითი განხილვის ეტაპზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისათვის დადგენილია დასაბუთებული ვარაუდის მტკიცებულებითი სტანდარტი. ამ სტანდარტის არსებობის, ასევე პირის ბრალდებულად ცნობისა და სხვა საპროცესო მოქმედებათა განხორციელებისას არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევების დაშვების ფაქტის არსებობას ამოწმებს სასამართლო ბრალდებულის პირველი წარდგენის (აღკვეთის ღონისძიების გამოყენების) სხდომაზე. მოცემულ შემთხვევაში, ნიკანორ მელიას მიმართ როგორც კანონმდებლობით დადგენილი მტკიცებულებითი სტანდარტის არსებობა, ასევე უფლებათა დარღვევის შესაძლო ფაქტების არსებობა, თბილისის საქალაქო სასამართლოს და შემდგომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ იქნა შესწავლილი და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენებით, სასამართლომ დაადგინა ნიკანორ მელიას მიერ ბრალად შერაცხული ქმედების დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ჩადენა, ასევე გამორიცხა სამართალწარმოების პროცესში უფლებათა დარღვევის შესაძლო ფაქტების არსებობა.

ამასთან, საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების ავთენტურობა, უტყუარობა და საკმარისობა ასევე შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლომ წინასასამართლო სხდომაზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა შემოწმებისა და სისხლის სამართლის საქმის არსებითად განსახილველად გადაცემისათვის, მოსამართლისათვის დადგენილია ალბათობის მაღალი ხარისხის მტკიცებულებითი სტანდარტი. სწორედ ამ მტკიცებულებითი სტანდარტის არსებობა

დადგინდა სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით, რომლითაც სისხლის სამართლის საქმე ნიკანორ მელიას მიმართ გადაეცა სასამართლოს არსებითად განსახილველად. წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ბრალდებულ ნიკანორ მელიას მიერ მისთვის ინკრიმინირებული ქმედების ჩადენა ურთიერთშეთავსებადი და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით დასტურდება; რომ ბრალდების დამადასტურებელი ყველა მტკიცებულება მოპოვებულია და სამართალწარმოების პროცესი ჩატარებულია კანონმდებლობის დაცვით.

2020 წლის 1 ნოემბერს, ნიკანორ მელიამ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას საჯარო განცხადების გაკეთებისას, დემონსტრაციულად მოიხსნა ელექტრონული მონიტორინგის სამაჯური, რითაც გამიზნულად დაარღვია მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების პირობები. ამის გამო, 2020 წლის 3 ნოემბერს, ბრალდების მხარემ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვა ნიკანორ მელიასთვის 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს შეფარდება, ამავდროულად მისთვის სახელმწიფო საზღვრის დატოვების აკრძალვა, ბრალდების მხარის წინასწარი ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 3 ნოემბრის განჩინებით, ბრალდების მხარის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - ნიკანორ მელიას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება გირაო გამკაცრდა და გაიზარდა 40 000 (ორმოცი ათასი) ლარით, 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარამდე. გირაოს გაზრდილი ოდენობის გადახდის ვადად განისაზღვრა 50 (ორმოცდაათი) დღე. მასვე აეკრძალა სახელმწიფო საზღვრის დატოვება ბრალდების მხარის წინასწარი ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გირაო არის ფულადი თანხა ან უძრავი ქონება. ფულადი თანხა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეაქვს ბრალდებულს ან მისი სახელით ან მის სასარგებლოდ სხვა პირს სასამართლოსათვის მიცემული წერილობითი ვალდებულებით ბრალდებულის სათანადო ქცევისა და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში დროულად გამოცხადების უზრუნველყოფის თაობაზე. ფულადი თანხის ნაცვლად შეტანილ უძრავ ქონებას ედება ყადაღა. გირაოს მიღების შესახებ დგება ოქმი, რომლის ერთი ასლი გადაეცემა გირაოს შემტანს.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკანორ მელიას, ჯერ კიდევ 2019 წლის 27 ივნისს, როგორც მოსამართლის, ისე პროკურორის მიერ განემარტა შერჩეული აღკვეთის ღონისძიების - გირაოს გამოყენების პირობები და მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები, გამკაცრებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პირობა მის მიერ არ შესრულდა - ნიკანორ მელიამ გამიზნულად არ უზრუნველყო სასამართლოს მიერ გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის შესაბამის ანგარიშზე შეტანა და არც ეკვივალენტური უძრავი ქონებით მისი უზრუნველყოფა. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ბრალდებულ ნიკანორ მელიას საკუთრებაში გააჩნია უძრავი ქონება, რომელიც საკმარისია გირაოს უზრუნველსაყოფად, ასევე მის მიერვე 2020 წლის 31 დეკემბერს შევსებული

დეკლარაციის თანახმად, ამავე წლის დეკემბერში გააჩნდა საკმარისი თანხა გირაოს თანხის გადასახდელად.

სასამართლოს მიერ გირაოს გადასახდელად განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, საქართველოს პროკურატურის მიერ ნიკანორ მელიას აღკვეთის ღონისძიების - გირაოს უზრუნველსაყოფად განესაზღვრა დამატებითი ვადა, თუმცა, მან სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულება დადგენილ ვადაში კვლავ არ შეასრულა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ ბრალდებულმა დადგენილ ვადაში არ უზრუნველყო სასამართლოს მიერ გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანა ან უძრავი ქონების შეტანა, პროკურორი სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს გირაოს გადაუხდელობის შემთხვევაში პროკურორის ვალდებულებას, მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

როგორც აღინიშნა, 2020 წლის 1 ნოემბერს ნიკანორ მელიამ საჯაროდ გამოსვლისას, დემონსტრაციულად დაარღვია გირაოს გამოყენების პირობა, რამაც წარმოშვა პროკურორის ვალდებულება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის თაობაზე. კონკრეტულ შემთხვევაში, მოთხოვნილ იქნა უკვე გამოყენებული გირაოს ოდენობის გაზრდა.

მიუხედავად ამისა, უფრო მკაცრმა აღკვეთის ღონისძიებამ, რომლის მიზანი იყო ბრალდებულს დაეცვა საქართველოს კანონმდებლობის და სასამართლოს გადაწყვეტილების მოთხოვნები, ვერ უზრუნველყო აღკვეთის ღონისძიების მიზნები - ბრალდებულმა ნიკანორ მელიამ საჯაროდ უარი განაცხადა გირაოს გადახდაზე. ამ ვითარებაში, გირაოს შემდგომი გამოყენება ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

იმ დროს, როდესაც საქართველოს სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას, მნიშვნელოვანია განისაზღვროს მოცემული შემთხვევისათვის რელევანტური, უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, რომელიც გირაოსგან განსხვავებით შეძლებს უზრუნველყოს ნიკანორ მელიას სათანადო ქცევა. სასამართლოსათვის გირაოს კიდევ უფრო გაზრდილი ოდენობით მიმართვა ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია - გირაოს გაზრდილი ოდენობის გადახდაზე უარის თქმა, ბუნებრივად აჩენს მოლოდინს, რომ გირაოს კიდევ უფრო გაზრდილი ოდენობის გამოყენება ვერ ჩაითვლება ადეკვატურ, ლოგიკურ და პროპორციულ ღონისძიებად. შესაბამისად, ერთადერთი საკანონმდებლო ალტერნატივა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს უფრო მკაცრ აღკვეთის ღონისძიებად, არის პატიმრობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, მიიღოთ გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტის წევრის ნიკანორ მელიას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გირაოს

უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით პატიმრობით შეცვლის შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვასთან დაკავშირებით, საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის წინასწარი თანხმობის გაცემის თაობაზე.

დანართი: 5 ფურცლად.

პატივისცემით,

საქართველოს გენერალური პროკურორი ირაკლი შოთაძე